

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის“ ხელმძღვანელობას და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმოდ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება [კონსოლიდირებულ] ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.



სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 26 აპრილი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. საოპერაციო გარემო.....	5
3. მომზადების საფუძველი.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	5
5. შეწყვეტილი ოპერაციები და სხვა ცვლილებები ჯგუფის სტრუქტურაში.....	17
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	20
7. ძირითადი საშუალებები.....	21
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	22
9. გაცემული სესხები.....	22
10. სხვა მიმდინარე აქტივები.....	22
11. კაპიტალი.....	23
12. ნასესხები სახსრები.....	24
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.....	24
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	25
15. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	25
16. წმინდა არარეგულარული მუხლები.....	25
17. აქციებზე დაფუძნებული გადახდები.....	25
18. ფინანსური ინსტრუმენტები.....	26
19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	30
20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	31

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	39,855	33,490
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები		395	402
გაცემული სესხები	9	2,150	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	6,293	6,843
სულ გრძელვადიანი აქტივები		48,693	40,735
მიმდინარე აქტივები			
ანაზღაურებადი აქტივები		-	52
გაცემული სესხები	9	-	54
სხვა მიმდინარე აქტივები	10	156	500
წინასწარ გადახდილი დღგ		84	485
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	3,586	3,603
სულ მიმდინარე აქტივები		3,826	4,694
სულ აქტივები		52,519	45,429
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	41,796	38,065
დაგროვილი დანაკლისი		(3,215)	(4,072)
დისკონტი აქციაზე		(2,457)	(2,457)
სხვა რეზერვები		12,106	12,330
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		48,230	43,866
არამაკონტროლებელ ინტერესებზე	11	-	21
სულ კაპიტალი		48,230	43,887
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	620	-
საიჯარო ვალდებულებები	4	222	197
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		842	197
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	29	-
საიჯარო ვალდებულებები		43	43
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	13	3,375	1,302
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,447	1,345
სულ ვალდებულებები		4,289	1,542
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		52,519	45,429

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26 აპრილს:

გიორგი ვახტანგიშვილი
გენერალური დირექტორი

ნანა მშვიდლობაძე
ფინანსური დირექტორი

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
უწყვეტი საქმიანობა			
სხვა შემოსავალი		48	100
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(686)	(591)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(178)	(441)
სულ საოპერაციო ხარჯები		(816)	(932)
EBITDA		(816)	(932)
ცვეთა და ამორტიზაცია		(494)	(306)
ფინანსური შემოსავალი		182	160
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(138)	(19)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა (ზარალი)		328	(136)
წმინდა არარეგულარული მუხლები	16	1,222	–
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე უწყვეტი საქმიანობიდან		284	(1,233)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება/(ზარალი) უწყვეტი საქმიანობიდან		284	(1,233)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
კომპანიის მფლობელებზე		284	(1,230)
არამაკონტროლებელ ინტერესებზე		–	(3)
შეწყვეტილი ოპერაციები			
პერიოდის განმავლობაში შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	5	6	(1,709)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
კომპანიის მფლობელებზე		6	(1,709)
წლის მოგება/(ზარალი)		290	(2,942)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
კომპანიის მფლობელებზე		290	(2,939)
არამაკონტროლებელ ინტერესებზე		–	(3)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება (წმინდა) ოპერაციების გაგრძელებაზე საკუროს სხვაობებიდან მიღებული (ზარალი)/შემოსულობა		(3,119)	5,514
შეწყვეტილი ოპერაციებზე საკუროს სხვაობებიდან მიღებული შემოსულობა		–	4,148
წმინდა სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც არ ხდება		(3,119)	9,662
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი		(3,119)	9,662
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(2,829)	6,720
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, განკუთვნილი:			
კომპანიის მფლობელებზე		(2,829)	6,723
არამაკონტროლებელ ინტერესებზე		–	(3)

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	განკუთვნილი მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის						
	საწესდებო კაპიტალი	დისკონტი აქციაზე	დაგროვილი დანაკლისი	სხვა რეზერვები	სულ	არასაკონტროლო ინტერესები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	99,903	(2,457)	(755)	10,618	107,309	24	107,333
წლის ზარალი	–	–	(2,939)	–	(2,939)	(3)	(2,942)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	–	–	–	9,662	9,662	–	9,662
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	(2,939)	9,662	6,723	(3)	6,720
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-11 შენიშვნა)	5,608	–	–	–	5,608	–	5,608
წილობრივი გადახდების პროგრამა (მე-17 შენიშვნა)	–	–	–	2,232	2,232	–	2,232
შვილობილი კომპანიის განკარგვა (მე-5 შენიშვნა)	(67,446)	–	(378)	(10,182)	(78,006)	–	(78,006)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,065	(2,457)	(4,072)	12,330	43,866	21	43,887
წლის მოგება	–	–	290	–	290	–	290
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	–	–	–	(3,119)	(3,119)	–	(3,119)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	290	(3,119)	(2,829)	–	(2,829)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-11 შენიშვნა)	3,731	–	–	–	3,731	–	3,731
წილობრივი გადახდების პროგრამა (მე-17 შენიშვნა)	–	–	–	2,895	2,895	–	2,895
შვილობილი კომპანიის განკარგვა (მე-11 შენიშვნა)	–	–	567	–	567	(21)	546
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,796	(2,457)	(3,215)	12,106	48,230	–	48,230

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		58	11,969
მომწოდებლებისთვის განხორციელებული გადახდები		(564)	(1,687)
თანამშრომლების ხელფასები		(326)	(460)
მიღებული პროცენტი		59	155
ანაზღაურებული/(გადახდილი) გადასახადები, წმინდა		(230)	(1,211)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,003)	8,766
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(6,225)	(22,749)
კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული ანაზღაურებული დღე		481	2,658
გაცემული სესხები		(2,236)	(2,096)
გაცემული სესხების დაფარვა		62	2,117
შვილობილი კომპანიის გასხვისება, გაცემული თანხის გამოკლებით	5	–	(542)
შემოსავალი შვილობილი კომპანიების რეალიზაციიდან, ნაღდი ფულის გამოკლებით		4,669	–
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,249)	(20,612)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება	12	716	1,800
საოპერაციო ხარჯები ავანსებზე	12	–	(626)
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	–	(1,800)
გადახდილი პროცენტი	12	(32)	(6,747)
საიჯარო გადასახდელები		(136)	(130)
ამონაგები საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან	11	3,731	5,608
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		4,279	(1,895)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(44)	1,780
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(17)	(11,961)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,603	15,564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	3,586	3,603

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GRPC“) დაფუძნდა 2015 წელს, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია ჰოლდინგური მშობელი კომპანიაა და ახდენს შემდეგი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი მონაწილეობა (%)	
		2021	2020
სს „ზოტი ჰიდრო“	საქართველო	100%	100%
სს „კავკასიის ქარის კომპანია“	საქართველო	100%	100%
სს „კავკასიის მზის კომპანია“	საქართველო	100%	100%
შპს „ბახვი 2“	საქართველო	–	95%
სს „გეოჰიდრო“	საქართველო	–	85%
შპს „რაჭა ჰიდრო“	საქართველო	–	95%
შპს „საქართველოს გეოთერმული კომპანია“	საქართველო	100%	100%
შპს „ჰიდრო ესი“	საქართველო	100%	100%

კომპანია, თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად, შეადგენს კომპანიების ჯგუფს (შემდგომში „ჯგუფი“).

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების მიმართულებით. 2019 წლის მეორე კვარტალში ჯგუფმა დაასრულა მესტიაჰალის 50-მეტ-იანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. საქართველოს დასავლეთით ზოტის 46 მეტ-იანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა 2019 წლის მესამე კვარტალში დაიწყო.

2021 წელს ჯგუფმა გაასხვისა სს „გეოჰიდრო“ და გაყიდა 95%-იანი წილი შპს „ბახვი 2“-ის (მე-5 შენიშვნა).

2020 წელს ჯგუფმა დააფუძნა შპს „რაჭა ჰიდრო“ და შპს „საქართველოს გეოთერმული კომპანია“. 2021 წლის აპრილში ჯგუფმა გაყიდა 95%-იან საკუთრების უფლება შპს „რაჭა ჰიდროში“ (მე-5 შენიშვნა).

2020 წლის ივლისში ჯგუფმა გაყიდა თავისი შვილობილი კომპანია სს „სვანეთი ჰიდრო“, რომლის საკუთრების უფლება გადაეცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ (შემდგომში „ჯი ჯი იუ“), საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს (მე-5 შენიშვნა).

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობდა სს „საქართველოს კაპიტალი“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „GCAP“). 2020 წლის 25 თებერვალს „GCAP“-მა შეიძინა „RP Global“-ის აქციები კომპანიაში და გახდა ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ქლენტის ქ. #10.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2. საოპერაციო გარემო

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. ჯგუფი აკონტროლებს კოვიდ-19-ის გავრცელების მიმდინარე გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

3. მომზადების საფუძველი

ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის ანგარიშგებისთვის.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. როდესაც ჯგუფი იღებს არაფულადი აქტივების გრანტებს, აქტივი და გრანტი აღირიცხება ნომინალური ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანაბარი წლიური გადახდებით, საბაზისო აქტივიდან სარგებლის მოხმარების ტენდენციის მიხედვით.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასების მიზნით, ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, გაცემულ სესხებს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. ჯგუფი არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. ჯგუფის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

დებიტორული დავალიანებების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

დებიტორული დავალიანებებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვის, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარება

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. გარიგების ფასი მოიცავს ტექნიკური და იურიდიული კონსულტანტებისთვის, ასევე სადაზღვევო ბროკერებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს და კრედიტორისთვის თავდაპირველი ფინანსური შეფასების პროცესში გადახდილ საფასურს. გარიგების ფასი არ მოიცავს სესხი პრემიას ან ფასდაკლებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოიცავს გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორც არის ბანკის საკომისიო, ფინანსური ანალიზისა და დაზღვევის ხარჯებს, რომლების სესხის მიღებას უკავშირდებოდა. თავდაპირველად გარიგების ფასები აღირიცხება როგორც ავანსები, ხარჯების გაწევისას. სესხის მიღებისას, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაშია შესული.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფის ნასესხები სახსრები მოიცავს სესხებს ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან და მშობელი კომპანიისგან. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ცვლილება

როდესაც სესხის არსებული პირობები იცვლება, ჯგუფი ატარებს იმის ანალიზს, თავდაპირველი სესხი ჩანაცვლდა თუ არა სხვა სესხით, „არსებითად“ განსხვავებული პირობებით. ჯგუფი ატარებს რაოდენობრივ და თვისებრივ ტესტებს. რაოდენობრივი ტესტის ფარგლებში, ჯგუფი ანგარიშობს ხომ არ არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ახალი პირობების ფარგლებში ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება 10%-ზე ნაკლები, რაც განსხვავდება თავდაპირველი სესხის საბალანსო ღირებულებისგან. თუ ცვლილება 10%-ზე ნაკლებია, რაოდენობრივი ტესტის საფუძველზე ცვლილება არაარსებითია.

ჯგუფი ასევე ატარებს თვისობრივ ტესტს, რაც მოიცავს ანალიზს იმისა, ხომ არ არის პირობების ცვლილება იმდენად ფუნდამენტალური, რომ საჭიროა აღიარების სასწრაფოდ შეწყვეტა. ფუნდამენტალური ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს სესხის ვალუტაში, სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ფიქსირებულიდან ცვალებადზე ან პირიქით, ან კაპიტალის კონვერტაციის ფუნქციას.

სესხის „არსებითი“ ცვლილება ან მისი ჩანაცვლება „არსებითად“ განსხვავებული პირობებით აღირიცხება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახით. ეს მოქმედებს თავდაპირველი სესხის აღიარების შეწყვეტაზე და ახალი ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებაზე. ეს მოქმედებს პირდაპირ გავლენაზე მოგებაზე ან ზარალზე, თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ახალი ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის გამო (ნებისმიერი გადახდილი ფულადი სახსრების ან გადაცემული არაფულადი აქტივების გათვალისწინებით).

თუ ცვლილება არაარსებითია, ჯგუფი არსებულ სესხს ახალი პირობებით და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს ანგარიშგების თარიღში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ დანახარჯებს და მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებას.

პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიონალურ მომსახურებებს. ამასთან, პირდაპირი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში გაწეულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯებს, ტექნიკურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირი დანახარჯების ნაწილს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის/სხვა ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ელექტროსადგურების შემთხვევაში, ფუნქციონირების დაწყების თარიღი ნიშნავს გამოცდის პერიოდის დასრულებას და ენერგიის გამომუშავების ლიცენზიის მიღებას.

დაუმთავრებელ მშენებლობაზე და მიწის ნაკვეთზე ცვეთა არ ირიცხება. დაუმთავრებელი აქტივები ექსპლუატაციაში შედის და ცვეთის ხარჯის დარიცხვა იწყება აქტივის სამიზნე მდგომარეობაში მოყვანისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
ინფრასტრუქტურული აქტივები	60
მიწები და ჭები	5
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3
სატრანსპორტო საშუალებები	10

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ ანაზღაურება პრაქტიკულად აშკარაა, და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები უპირატესად მოიცავს ლიცენზიებს და ნებართვებს, რომლებიც საჭიროა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად და მათზე ირიცხება ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი მოსალოდნელი სასარგებლო ვადის განმავლობაში (36 თვე), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემულ აღიარებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადი გარდა, შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ვალდებულება წარმოიშვება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. დღგ-სთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები აისახება ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობებიდან, მაშინ, როდესაც საოპერაციო საქმიანობებთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში შედის ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, რომელიც მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ანაბრებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და მიღებულ ფაქტიურ შენატანს შორის აღიარდება აქციაზე დისკონტირებაში/სააქციო პრემიაში კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების, ფინანსური ექსპერტიზის ხარჯების და სესხების მიღებასთან დაკავშირებული სადაზღვევო ხარჯების კორექტირებად.

გარიგების ფასები აღირიცხება როგორც ავანსები, ხარჯების გაწვევას. ამ ხარჯების გაწევა ხდება კრედიტორის პროცესის შერჩევის/დამტკიცების პროცესში. ხარჯები წარმოადგენს „კრედიტორის სავაჭრო ხარჯებს“ და ისინი შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ფინანსირებასთან დაკავშირებით.

ისეთი აქტივის შემენისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც ამ კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით ქონების მშენებლობის ფაზაში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ ჯგუფი მოელის რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, იმ შემთხვევაში, თუ იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ განისაზღვრება ფას-ებში და მას განსაზღვრავს ჯგუფი, როგორც შემოსავალი პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკურსო ზარალის გაწევამდე ან შემოსულობის და წმინდა არარეგულარული ერთეულების განხორციელებამდე.

არარეგულარული მუხლები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და ამიტომ მათი გათვალისწინება არ უნდა მოხდეს სამომავლო პროგნოზების გაკეთებიდან.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის შვილობილი კომპანიების და კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში საქართველოში, შესაბამისად, ჯგუფის შემოსავალი აშშ დოლარში იქნება გამოხატული;
- ▶ მშენებლობის ხარჯების უმეტესობა აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ აქციონერებისგან კაპიტალში შენატანი აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ ჯგუფის ფინანსური სტრუქტურის დაგეგმვა აშშ დოლარში ხდება.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, წმინდა საკურსო ზარალის ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღესასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 აშშ დოლარი იყო 3.0976 ლარი და 3.2766 ლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება ოპერაციების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის ნარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის შეცვლის თარიღისთვის. გადაანგარიშებისას წარმომდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების მიზნით ლარში.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, ფულადი პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. თანამშრომელთა სარგებელი, რომელიც არ წარმოადგენს აქტივის ხარჯის ნაწილად აღიარების საგანს (როგორც არის ძირითადი საშუალებები) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ჯგუფის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო შმობელი კომპანიის „GCAP“-ის წილობრივი ინსტრუმენტების სახით. წილობრივ უფლებებს „GCAP“ ანიჭებს. ანაზღაურება, რომლის დაფარვის ვალდებულება ჯგუფს არ აქვს, აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ოპერაციები (მაშინაც კი, თუ ჯგუფმა შეიძლება წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯი აუნაზღაუროს გადამხდელ სუბიექტს, რომლის აღიარებაც ხდება როგორც დაქვითვა სხვა მარაგებიდან კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღში).

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღში, საფონდო ბირჟაზე ხელმისაწვდომი საბაზრო კვოტირებების გამოყენებით

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ღირებულების აღიარება, კაპიტალში დამატებითი შენატანების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ჯგუფის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. ჯგუფის თანამშრომლებისთვის გაცემული აქციებისთვის მშობელ კომპანიასთან ანგარიშსწორება აღირიცხება როგორც კლება სხვა მარაგებში.

შეწყვეტილი ოპერაციები

გასახვისებელი აქტივების ჯგუფი ითვლება შეწყვეტილ ოპერაციად მაშინ, თუ ის არის სამეურნეო სუბიექტის კომპონენტი, რომელიც ან გასხვისებულია, ან კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული, და:

- ▶ წარმოადგენს საქმიანობის ცალკე აღებულ ძირითად მიმართულებას ან საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს;
- ▶ არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან გეოგრაფიული არეალის საქმიანობის გასხვისების ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- ▶ არის შვილობილი კომპანია, რომელიც შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები არ აისახება უწყვეტი საქმიანობის შედეგებში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც შეწყვეტილი ოპერაციებიდან წმინდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ერთიანი თანხა.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: „ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: „ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი დანიშნულებისაგან გამოყენებამდე“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში: „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“;
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს;
- ▶ ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის;
- ▶ ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში;
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ჯგუფის საქმიანობების შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ამოქმედდა, გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ან ოპერაციების შედეგებზე:

- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯაროქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება
- ▶ საპროცენტო განაკვეთის ბენზმარკების ფუნდამენტური რეფორმა - მე-2 ეტაპი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ფასს (IFRS) 16-ში.

5. შეწყვეტილი ოპერაციები და სხვა ცვლილებები ჯგუფის სტრუქტურაში

2020 წლის 2 ივლისს აქციონერმა მიიღო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის 25,841 ათასი აქციით შემცირების გადაწყვეტილება, ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი ერთ აქციაზე. ფულადი გადახდების ნაცვლად, ჯგუფმა სს „სვანეთი ჰიდროს“ 67,446 ლარის ღირებულების 25,841 ათას აქციაზე საკუთრების უფლება სს „საქართველოს კაპიტალს“ გადასცა. 6 ივლისს სს „საქართველოს კაპიტალმა“ სს „სვანეთი ჰიდროს“ საკუთრების უფლება „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ გადასცა.

ხელმძღვანელობის აზრით, „სვანეთი ჰიდრო“ აკმაყოფილებს დისკონტირებული ოპერაციების განმარტებას ფასს (IFRS) 5-ის („გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“) საფუძველზე, რადგან ის წარმოადგენს ბიზნესის განცალკევებულ მთავარ ხაზს (ფუნქციონირებადი ჰიდროელექტრო სადგურები) და აღრიცხა ჯგუფის შემოსავლის მნიშვნელოვანი უმრავლესობა, საოპერაციო ხარჯები და ფულადი ნაკადები.

ქვემოთ წარმოდგენილია სს „სვანეთი ჰიდროს“ შედეგები მისი საკუთრების უფლების განკარგვის თარიღამდე.

	2020 წლის 2 ივლისით დასრულებული პერიოდისთვის
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	3,033
შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან	2,620
სულ ამონაგები და შემოსულობა	5,653
ელექტროენერგიის გადაცემის ხარჯები	(31)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(100)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(867)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(567)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,565)
EBITDA	4,088
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,769)
ფინანსური შემოსავალი	10
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(4,184)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	146
წმინდა არარეგულარული მუხლები	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(1,709)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
პერიოდის ზარალი	(1,709)

5. შეწყვეტილი ოპერაციები და სხვა ცვლილებები ჯგუფის სტრუქტურაში (გაგრძელება)

სს „სვანეთი ჰიდროს“ აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი კლასები, საკუთრების უფლების განკარგვის თარიღისთვის იყო შემდეგი:

	2020 წლის 2 ივლისის მდგომარეობით
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	152,907
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	512
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,347
სულ გრძელვადიანი აქტივები	154,766
მიმდინარე აქტივები	
ანაზღაურებადი აქტივები	41,979
სხვა მიმდინარე აქტივები	902
წინასწარ გადახდილი დღგ	344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	542
სულ მიმდინარე აქტივები	43,767
სულ აქტივები	198,533
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	109,611
საიჯარო ვალდებულებები	484
გადავადებული შემოსავალი	1,516
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	111,611
მიმდინარე ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	7,284
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,665
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	176
სულ მიმდინარე ვალდებულებები	9,125
სულ ვალდებულებები	120,736
განკარგული შვილობილ კომპანიასთან პირდაპირ დაკავშირებული წმინდა აქტივები	77,797

ქვემოთ წარმოდგენილია სს „სვანეთი ჰიდროს“ მიერ გაწეული წმინდა ფულადი ნაკადები მისი საკუთრების უფლების განკარგვის თარიღამდე:

	2020
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	10,542
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	(7,282)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების (გადინება)/შემოდინება	(3,678)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	(418)

2021 წელს ჯგუფმა გაყიდა 95%-იანი საკუთრების უფლება შპს „ბახვი 2“-ში ფულადი ანაზღაურებით 4,669 ლარი. ამ ოპერაციას არსებითი შემოსულობა ან ზარალი არ მოჰყოლია.

2021 წელს ჯგუფმა გაყიდა 95%-იანი საკუთრების უფლება შპს „რაჭაში“ ფულადი ანაზღაურებით ნული ლარი. ამ ოპერაციას შემოსულობა ან ზარალი არ მოჰყოლია.

5. შეწყვეტილი ოპერაციები და სხვა ცვლილებები ჯგუფის სტრუქტურაში (გაგრძელება)

2021 წელს ჯგუფმა გაყიდა 85%-იანი საკუთრების უფლება სს „გეოჰიდრო“ ფულადი ანაზღაურებით ნული ლარი. ამ ოპერაციას არსებითი შემოსულობა ან ზარალი არ მოჰყოლია.

შვილობილი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი აგრეგირებული კლასები, 2021 წელს საკუთრების უფლების განკარგვის თარიღისთვის იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 სექტემბრის მდგომარეობით*
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	2,208
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,211
მიმდინარე აქტივები	
სხვა მიმდინარე აქტივები	35
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81
სულ მიმდინარე აქტივები	116
სულ აქტივები	2,327
მიმდინარე ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6
სულ ვალდებულებები	6
არამაკონტროლებელ ინტერესებზე	21
განკარგულ შვილობილ კომპანიებთან პირდაპირ დაკავშირებული წმინდა აქტივები	2,321
მიღებული ფულადი ანაზღაურება	4,669

* 2021 წლის 3 სექტემბერს ჯგუფმა გაყიდა შპს „ბახვი 2“, ხოლო 2021 წლის 22 ივლისს - სს „გეოჰიდრო“. ამ თარიღებს შორის უმნიშვნელო სხვაობის გათვალისწინებით, ზემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია აქტივების და ვალდებულებების მთავარი კლასები. შპს „რაჭას“, რომელიც 2021 წლის 17 მარტს გაიყიდა, ნული ბალანსი ჰქონდა.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივების შეფასება

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. ჯგუფი ახდენს მშენებლობის პროცესთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას. ხარჯების თავდაპირველი კაპიტალიზაცია მშენებლობის პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებას ეფუძნება. იჯარები, საშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადები, ნასესხები სახსრები, თანამშრომელთა სარგებელი (აქციებით წარმოებული გადახდების ჩათვლით) და სხვა ხარჯები რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იმ ისეთი აქტივის მშენებლობას, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის მომზადებას საკმარის დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი. ფიზიკური დაზიანების ან აქტივების განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს ამგვარი დაზიანების მასშტაბს თითოეული ინდივიდუალური ერთეულისთვის და ჩამოწერს ძირითადი საშუალებების ისეთ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივად დაზიანებული ერთეულებისთვის მოიცავს გაუფასურების რეზერვის ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებული შეფასებების გამოყენებას. ამასთან, მნიშვნელოვანი შეფასებაა საჭირო იმის შესაფასებლად, პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა შესაბამისი ზარალის შემთხვევის სადაზღვევო ანაზღაურება და შესაბამისია თუ არა ამგვარი ასანაზღაურებელი აქტივის აღიარება ანგარიშგების თარიღში ასანაზღაურებელი აქტივის შეფასებასთან ერთად.

სს „სვანეთი ჰიდროს“ შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიკაცია

2020 წლის 2 ივლისს აქციონერმა მიიღო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის 25,841 ათასი აქციით შემცირების გადაწყვეტილება, ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი ერთ აქციაზე. ხელმძღვანელობის აზრით, „სვანეთი ჰიდრო“ აკმაყოფილებს დისკონტირებული ოპერაციების განმარტებას ფასს (IFRS) 5-ის საფუძველზე, რადგან ის წარმოადგენს ბიზნესის განცალკევებულ მთავარ ხაზს (ფუნქციონირებადი ჰიდროელექტროსადგურები) და აღრიცხა ჯგუფის შემოსავლის მნიშვნელოვანი უმრავლესობა, საოპერაციო ხარჯები და ფულადი ნაკადები (მე-5 შენიშვნა).

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2021 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	მიწები და ჭები	ინვენტარი და აღჭურვი- ლობა	სატრანს- პორტო საშუალე- ბები	დაუმთავ- რებელი აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	498	2,239	640	776	217	30,165	34,535
შესყიდვები	14	724	–	–	(18)	9,986	10,706
შვილობილი კომპანიების განკარგვა (მე-5 შენიშვნა)	–	(127)	–	–	–	(2,174)	(2,301)
საკურსო სხვაობები	(27)	(49)	(35)	(42)	(12)	(1,457)	(1,622)
პირვანდელი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	485	2,787	605	734	187	36,520	41,318
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბერი	–	(828)	(141)	(38)	(38)	–	(1,045)
ცვეთის ხარჯი	–	(286)	(82)	(98)	(28)	–	(494)
შვილობილი კომპანიების გასხვისება	–	93	–	–	–	–	93
საკურსო სხვაობები	–	(2)	(4)	(9)	(2)	–	(17)
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(1,023)	(227)	(145)	(68)	–	(1,463)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	498	1,411	499	738	179	30,165	33,490
2021 წლის 31 დეკემბერი	485	1,764	378	589	119	36,520	39,855

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	მიწები და ჭები	ინვენტარი და აღჭურვი- ლობა	სატრანს- პორტო საშუალე- ბები	დაუმთავ- რებელი აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	780	80,825	62,709	673	267	15,559	160,813
შესყიდვები	–	5,674	–	1,153	8	11,903	18,738
შვილობილი კომპანიის განკარგვა (მე-5 შენიშვნა)	(367)	(89,587)	(66,118)	(1,100)	(92)	–	(157,264)
საკურსო სხვაობები	85	5,327	4,049	50	34	2,703	12,248
პირვანდელი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	498	2,239	640	776	217	30,165	34,535
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2019 წლის 31 დეკემბერი	–	(2,172)	(735)	(45)	(65)	–	(3,017)
ცვეთის ხარჯი გაგრძელებულ ოპერაციებზე	–	(154)	(133)	(1)	(1)	–	(289)
ცვეთის ხარჯი შეწყვეტილ ოპერაციებზე	–	(1,152)	(581)	(11)	(25)	–	(1,769)
შვილობილი კომპანიის გასხვისება	–	2,828	1,441	26	62	–	4,357
საკურსო სხვაობები	–	(178)	(133)	(7)	(9)	–	(327)
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(828)	(141)	(38)	(38)	–	(1,045)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	780	78,653	61,974	628	202	15,559	157,796
2020 წლის 31 დეკემბერი	498	1,411	499	738	179	30,165	33,490

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2021 წლისა და 2020 წლის განმავლობაში, ინფრასტრუქტურული აქტივები მეტწილად მოიცავდა ქარის პროექტებისა და წყლის ნაკადის შეფასების სადგურებისთვის საჭირო ანძების შეფასებას.

დაუმთავრებელი აქტივები მეტწილად უკავშირდება 2021 და 2020 წლებში „ზოტი ჰიდროში“ და „კავკასიის ქარის კომპანიაში“ განხორციელებულ სამოქალაქო სამუშაოებს.

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	4,327	5,035
ავანსად გადახდილი გარიგების ხარჯები	1,222	626
არამატერიალური აქტივები, წმინდა აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით	101	138
სხვა გრძელვადიანი აქტივები	643	1,044
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	6,293	6,843

არამატერიალური აქტივების და დაგროვილი ამორტიზაციის მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, შესაბამისად, შეადგენდა 191 ლარს და 90 ლარს (2020 წ.: 202 ლარი და 64 ლარი). ამორტიზაციის ხარჯი არამატერიალურ აქტივებზე 2021 წელს იყო 29 ლარი (2020 წ.: 17 ლარი).

9. გაცემული სესხები

2021 წლის 17 მარტს ჯგუფმა დაამტკიცა საკრედიტო ლიმიტი დაკავშირებულ მხარესთან - საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან 3,098 ლარის ოდენობით (1,000 აშშ დოლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმომ მთლიანი ლიმიტიდან 2,010 ლარი გამოიყენა, ხოლო 1,088 ლარი (351 აშშ დოლარი) ამოუღებელი სასესხო ვალდებულებაა. 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო დებიტორული დავალიანებები გაცემულ სესხებზე 140 ლარია. სესხს ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და დარიცხული პროცენტი სრულად უნდა დაიფაროს 2023 წლის 31 მარტს.

ჯგუფმა გაცემულ სესხთან და სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა (მე-19 შენიშვნა), საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა დაკავშირებული მხარეების მიერ მსესხებლისთვის გაწეული მხარდაჭერის გათვალისწინებით. ამ დავალიანებასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

10. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადახდილი ავანსები	46	396
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	6
სხვა დებიტორული დავალიანებები	106	98
სულ მიმდინარე აქტივები	156	500

11. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული სააქციო კაპიტალი 60,000 ათასი ზევულებრივი აქციისგან (2020 წ.: 60,000) შედგებოდა. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 (ერთი) აშშ დოლარი. 16,107 ათასი და 14,982 ათასი აქცია გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

გამოშვებული და სრულად გადახდილი აქციები ათასებში	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
სს „საქართველოს კაპიტალი“	16,107	41,796	14,982	38,065
სულ	16,107	41,796	14,982	38,065

2021 წელს კომპანიამ 1,125 ათასი აქცია გამოუშვა ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი, 3,731 ლარის ოდენობით ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

2020 წელს კომპანიამ 2,000 ათასი აქცია გამოუშვა ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი, 5,608 ლარის ოდენობით ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

2020 წელს ჯგუფმა განკარგა შვილობილი კომპანია სს „სვანეთი ჰიდრო“, რითაც გაუქმნდა 25,841 ათასი აქცია ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი, 67,446 ლარის ოდენობით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან შეძლოს აქციონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის - სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ჯგუფზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნა.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის ჯგუფი კაპიტალს ისევე განსაზღვრავს, როგორც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოადგენს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

კაპიტალის მართვა

სხვა მარაგები მოიცავს არარეალიზებულ შემოსულობას/(ზარალს) არსებულ შვილობილ კომპანიებში აქციების გაზავებიდან ან გაყიდვა/შესყიდვიდან, დამატებით ამონაგებს აქციებით წარმოებული გადახდების პროგრამასთან და საკუროს სხვაობის რეზერვთან დაკავშირებით.

12. ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 მარტს ჯგუფმა მიიღო 210 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სესხი ქართული ფინანსური ინსტიტუტისგან. სესხს ვადა 2025 წლის 30 ივლისს გასდის. საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია პირველი 24 თვის განმავლობაში, ამ პერიოდს შემდეგ კი - ცვალებადი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრების გრძელვადიანი წილის დაუფარავი თანხა 620 ლარი იყო (2020 წ.: ნული), ხოლო მიმდინარე წილი იყო 29 ლარი (2020 წ.: ნული).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ მიუღია მოკლე ან გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ფინანსური ინსტიტუტებისგან.

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	112,273
ფულადი შემოსავალი	1,800
გადახდილი ფულადი სახსრები	(1,800)
დარიცხული პროცენტი	4,184
გადახდილი პროცენტი	(6,747)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	7,185
შვილობილი კომპანიის გასხვისება	(116,895)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	–
ფულადი შემოსავალი	716
დარიცხული პროცენტი	35
გადახდილი პროცენტი	(32)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(70)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	649

2021 და 2020 წლებში, ნასესხებ სახსრებზე დარიცხული პროცენტის კაპიტალიზაცია არ მომხდარა.

2021 წელს მთლიანი გადახდილი პროცენტი 32 ლარის ოდენობით (2020 წ.: 6,747 ლარი) აღირიცხა, როგორც გადახდილი პროცენტი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	3,360	986
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	15	316
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,375	1,302

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2021	2020
ხელფასები	180	255
პრემიები	506	336
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	686	591

15. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
პროფესიული გასამრჯელო	83	286
კომუნიკაციის ხარჯები	42	70
სადაზღვევო ხარჯი	4	4
სხვა	49	81
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	178	441

16. წმინდა არარეგულარული მუხლები

	2021	2020
წმინდა შემოსავალი შვილობილი კომპანიების გასხვისებიდან	2,348	–
თანამშრომელთა კომპენსაცია წილობრივი ინსტრუმენტებით (მე-17 შენიშვნა)	(1,126)	–
სულ არარეგულარული შემოსავალი	1,222	–

2021 წელს ჯგუფმა გაყიდა შპს „ბახვი 2“-ის საკუთრების უფლება ფულად საზღაურად 4,669 ლარის ოდენობით, რომელიც გაიქცეოდა „ბახვი 2“-ის წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივით 2,321 ლარის ოდენობით, 2021 წლის 3 სექტემბერს განხორციელებული რეალიზაციის თარიღის მდგომარეობით.

17. აქციებზე დაფუძნებული გადახდები

2018 წელს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“-მა წარადგინა „GCAP“-ის აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა („EECP“). აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში, „GCAP“-ის აქციები ჯგუფის უფროს აღმასრულებელ პირებს გადაეცა. 2018 წლის ივლისში, ჯგუფის აღმასრულებელმა პირებმა გააფორმეს ახალი ექვსწლიანი ხელშეკრულება აქციებზე დაფუძნებული ფიქსირებული პირობითი კომპენსაციის შესახებ, „GCAP“-ის 525,000 ჩვეულებრივ აქციაზე. თითოეული აღმასრულებლისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა ექვს თანაბარ ნაწილად ხუთი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2019 წლის იანვრიდან, საიდანაც თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ექვსწლიან ვადას, ამგვარი პერიოდის განმავლობაში „GCAP“ ჯგუფში უწყვეტი დასაქმების პირობით. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღში, ხელმისაწვდომი საბაზრო კურსის გამოყენებით.

2020 წლის 1 აპრილს ანაზღაურების ხელშეკრულებები შეიცვალა „GCAP“-ის ჩვეულებრივ აქციებზე გადახდის პასუხისმგებლობის სს „საქართველოს კაპიტალისგან“ „ჯორჯია გლობალი უთილითიზისთვის“ გადაცემის ასახვის მიზნით. ცვლილებამ გამოიწვია 1 აპრილიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებით წარმოებული გადახდებიდან ანაზღაურების ფულით განსაზღვრული აქციებით წარმოებულ გადახდებამდე კორექტირება.

17. აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს არ აქვს ვალდებულება განახორციელოს აქციებით წარმოებული გადახდები, ის იღებს საქონელს ან მომსახურებებს და მიღებულ საქონელს და მომსახურებებს აფასებს როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებით წარმოებულ გადახდებს. 2021 წლის 31 დეკემბერს, „GCAP“-მა გამოაცხადა „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ის გაყიდვის შესახებ, რამაც გამოიწვია ზემოთ ხსენებული წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის აჩქარება „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის“ ხელმძღვანელობისთვის. რადგან „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ რეალიზაცია ერთჯერადი მოვლენა იყო, ჯგუფმა დარიცხა აჩქარების ეფექტი არარეგულარულ ხარჯში 1,126 ლარის ოდენობით.

თანამშრომელთა მიღებული მომსახურებების აღიარებული დანახარჯი წლის განმავლობაში და წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებზე დაფუძნებული გადახდების შესაბამისი ზრდა კაპიტალში ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

	2021	2020
წილობრივი გადახდებიდან წარმოშობილი აქციებზე დაფუძნებული გადახდებიდან წარმოშობილი ზრდა საკუთარ კაპიტალში	2,895	2,232
წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ოპერაციებიდან წარმოშობილი ხარჯი	177	179

18. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის მიერ ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომლის დროსაც გამოიყენება ღირებულების შეფასების მეთოდი ბაზრის ემპირიული და არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

18. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, იყო შემდეგი:

	დონე	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ანაზღაურებადი აქტივები	დონე 2	–	–	52	52
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 2	3,586	3,586	3,603	3,603
სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 10)	დონე 2	106	106	98	98
გაცემული სესხები (მე-9 შენიშვნა)	დონე 3	2,150	2,150	54	54
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-12 შენიშვნა)	დონე 2	649	649	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	დონე 2	3,375	3,375	1,302	1,302

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ანაზღაურებადი აქტივების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, გაცემული სესხების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ფიქსირებული კურსის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი, რადგან ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთს არის მიახლოებული.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფს აქვს სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის საკრედიტო ლიკვიდურობის რისკები. ჯგუფის ხელშეწყობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკი წარმოიშობა ევროსა და ლარში გამოხატული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან, სავაჭრო კრედიტორული დავალიანებებიდან და თანამშრომლების მიმართ კრედიტორული დავალიანებებიდან. გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილებების ეფექტი მოცემულია ქვედა ცხრილში:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2021	გავლენა მოგებაზე 2021
ლ	6%	(195)
ლ	-14%	455
ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2020	გავლენა მოგებაზე 2020
ლ	15%	(116)
ლ	-7%	54

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ნასესხები სახსრები ატარებდა ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს მიაღება ზარალი კონტრაქტების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 3,586 ლარის ოდენობით (2020 წ.: 3,603 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB-/bb-“ რეიტინგები.
- ▶ გაცემული სესხები: ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა გაცემული სესხებისთვის და ის კრედიტის ხარისხს აფასებს ამგვარ ინსტრუმენტებზე ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხი ვადაგადაცილებული არ არის. ჯგუფმა გაცემულ სესხთან და სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა დაკავშირებული მხარეების მიერ მსესხებლისთვის გაწეული მხარდაჭერის გათვალისწინებით. ამ დავალიანებასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. (მე-9 შენიშვნა).

18. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები კლასიფიცირებულია მიმდინარედ და არა გაუფასურებულად. აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ამიტომ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება არ უღიარებია. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურირებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურირების გარეშე, ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების დაამოუდებელი სასესხო ვალდებულებების პირობითი თანხების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ანსტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე მეტ	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტ	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი					
სესხები	71	129	–	601	801
სასესხო ვალდებულებები	–	1,088	–	–	1,088
საიჯარო ვალდებულებები	43	86	86	1,842	2,057
სავაჭრო და სხვა კრედიტორული					
დავალიანებები	3,375	–	–	–	3,375
სულ მომავალი გადახდები	3,489	1,303	86	2,443	7,321
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
საიჯარო ვალდებულებები	43	85	86	1,885	2,099
სავაჭრო და სხვა კრედიტორული					
დავალიანებები	1,302	–	–	–	1,302
სულ მომავალი გადახდები	1,345	85	86	1,885	3,401

19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

„GCAP“ ჯგუფის საწარმოები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია „GCAP“-ის წევრების მიერ.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

შემოსავალი და ხარჯი (შეწყვეტილი ოპერაციები)	„GCAP“ ჯგუფი	
	საერთო კონტროლს	
	დაქვემდებარებული საწარმოები	
	2021	2020
შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან	–	2,620

2020 წლის განმავლობაში ჯგუფს აქვს საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურებით გამოწვეული შემოსულობა, რომელიც უკავშირდება გაყიდულ შვილობილ კომპანიას სს „სვანეთი ჰიდრო“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმო). ეს შემოსულობა უკავშირდებოდა ღვარცოფის მოვლენას, რომელსაც 2019 წლის ივლისის ბოლოს ჰქონდა ადგილი მესტიაში.

2020 წლის 2 ივლისს აქციონერმა მიიღო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის 25,841 ათასი აქციით შემცირების გადაწყვეტილება, ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი ერთ აქციაზე. ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, ჯგუფმა სს „სვანეთი ჰიდროს“ 67,446 ლარის ღირებულების 25,841 ათას აქციაზე საკუთრების უფლება სს „საქართველოს კაპიტალს“ გადასცა (მე-5 შენიშვნა).

2021 წლის მდგომარეობით შპს „ზოტი ჰიდრომ“ გასწია ხარჯი, რომელიც უკავშირდებოდა ნასესხები სახსრების ფინანსურ ანალიზს, რომლის შემადგენელი ნაწილია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის - სს „ალდაგი“ გადახდილი სადაზღვევო ავანსები 394 ლარის ოდენობით.

2021 წელს კომპანიამ 1,125 ათასი აქცია გამოუშვა მის მშობელ კომპანიაზე ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი, 3,731 ლარის ოდენობით ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

2020 წელს კომპანიამ 2,000 ათასი აქცია გადასცა მის მშობელ კომპანიას ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი, 5,608 ლარის ოდენობით ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 17 მარტს ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გასცა სესხი, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,150 ლარს შეადგენდა. სესხს ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, ხოლო დაფარვის ვადაა 2023 წლის 31 მარტი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,098 ლარის (1,000 აშშ დოლარი) ოდენობით სესხის მთლიანი ლიმიტიდან 2,010 ლარი (649 აშშ დოლარი) საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმომ გამოიყენა, ხოლო 1,088 ლარი (351 აშშ დოლარი) წარმოადგენს დაუფარავ სასესხო ვალდებულებას.

ამასთან, 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა კაპიტალის ზრდა წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებით წარმოებული გადახდებიდან 2,895 ლარის (2020 წ.: 2,232 ლარი) ოდენობით და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ დაფარული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებებიდან მიღებული ხარჯებიდან 177 ლარის (2020 წ.: 179 ლარი) ოდენობით (მე-17 შენიშვნა).

დირექტორების ანაზღაურება

2021 და 2020 წლებში ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს და დირექტორთა საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ იღებენ ანაზღაურებას ჯგუფისგან. ხელმძღვანელობის ზედა რგოლის (მოიცავს ჯგუფის დირექტორებს და დირექტორთა საბჭოს 4 წევრს) ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომლებიც დამოკიდებულია ჯგუფის სხვა ანაზღაურებად მაჩვენებლებზე, განთავსების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის დარიცხულმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2021 და 2020 წლებში შესაბამისად შეადგინა 6,477 ლარი და 3,597 ლარი, შემდეგი სახით:

	2021	2020
ხელფასები	580	564
პრემიები	950	500
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	4,947	2,533
სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება	6,477	3,597

20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტიგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფი უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.